საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №13

2018 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემი.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვალერიან ხასაშვილი

დანართი 1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
407	*სახელები:* 1. ჰაჯიი (HAJJI) 2. აბდ ალ-ნასირ (‘ABD AL-NASIR) ***დაბ. თარიღი:*** 1965-სა და 1969-ს შორის ***დაბ. ადგილი:***	ა) ჰაჯიი აბდელნასერ (Hajji Abdelnasser) ბ) ჰაჯიი აბდ ალ-ნასრ (Hajji Abd al-Nasr) გ) თაჰა ალ-ქუვაით (Taha al-Khuwayt)	*პასპორტის მონაცემები:*	სირიის არაბთა რესპუბლიკა	19.11.2018	სირიის არაბთა რესპუბლიკაში ალქაიდას სამხედრო ლიდერი, აგრეთვე ალქაიდან დელეგაციის კომიტეტის მეთაური, რომელიც ალქაიდას საქმეების ადმინისტრაციულ კონტროლს ახორციელებს. გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს სპეციალური განცხადების ლინკი: www.interpol.int/en/notice/search/un/xxx.

	თალლ აფარ, ერაყი (Tall 'Afar, Iraq) **ეროვნება/მოქალაქეობა:** ერაყელი					